საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

ეძღვნება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 60 წლისთავს

Dedicated to the 60th anniversary of the Academy of Agricultural Sciences

მ ო ა მ ბ ე

B U L L E T I N

№2(38)

თბილისი-TBILISI-2017

UDC (უაკ)63+338.4+664](08)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

60

მ ო ა მ ბ ე

(სამეცნიერო შრომათა კრებული)

B U L L E T I N

(Scientific Papers)

№2(38)

საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებული

International Scientific-Methodological and Applied Referenced Scientific Papers

სამეცნიერო შრომათა კრებული გამოდის 1992 წლიდან.
გამოიცემა წელიწადში ორჯერ.
Collection of Scientific Papers is published since 1992.
Published twice a year.
p.593-20-07-93; 599-22-75-50.
E-mail:acad.as@gaas.dsl.ge,
E-mail: areal55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

ISSN 1512-2743

თბილისი-TBILISI-2017

გურამ ალექსიძე
სარედაქციო–სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე-ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ჯაფარიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ო.ქეშელაშვილი (საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), ნ.ბაღათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოღუაშვილი, თ.კუნჭულია, ო.ლიპარტელიანი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, გ.პაპუნიძე, გ.ტყემელაძე, ნ.ქარქაშაძე, თ.ყურაშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ნ.ჩხარტიშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, რ.ჯაბნიძე, შ.ჭალაგანიძე, ა.გიორგაძე (აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე), რ.კოპალიანი (პროფესორი).

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: ვლადიმერ ლოგინოვი (ბელორუსია), იაროსლავ გაზდალო (უკრაიანა), რაიჩო გეორგიევი (ბულგარეთი), ვიტალი კუჩერიავი (უკრაინა), ნიკოლოზ პოვოზნიკოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), გჟეგოჟ როჩკა (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), სოკ-იონგ ლი (კორეა), აზიმხან სატიბალდინი (ყაზახეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), ზეინალ აკპაროვი (აზერბაიჯანი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

გ.ალექსიძე-მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე, ა.გიორგაძე.

G.Aleksidze,

Head of Editorial-Scientific Board, Doctor of Biological Sciences, Professor, Academician, President of Georgian Academy of Agricultural Sciences.

Editorial-Scientific Board:

Academicians of Georgian Academy of Agricultural Sciences: G.Japaridze (Deputy Head of Editorial-Scientific Board), O.Keshelashvili (Responsidle Secretary of Editorial-Scientific Board)), G.Baghaturia, J.Gugushvili, J. Katsitadze, N. Karkashadze, P. koghuashvili, T.Kunchulia, T.Kurashvili, O.liparteliani, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G.Papunidze, G.Tkemaladze, R.Chagelishvili, Sh. Chalaganidze, N. Chkhartishvili, Z.Chankseliani, E.Shapakidze, Z.Tskitishvili, R.Jabnidze, A.Giorgadze (Deputy President of the Academy), R.Kopaliani (Professor).

Foreign members of Editorial–Scientific Board:

Professors: V. Loginov (Belarus), I. Gadzalo (Ukraine), R. Georgiev (Bulgaria), V. Kucheriavy (Ukraine), N. Povoznikov (Ukraine), I. Piculi (Poland), G. Rochka (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepia-rczyk (Poland), Soc-Yong Lee (Korea), A. Satibaldin (Kazakh), P. Tzenov (Bulgaria), Z. Akparov (Azerba-ijan), S. Salakhov (Azerbaijan), G.Gadjiev (Azerbaijan).

Publishing Board:

G.Aleksidze (Editor-in-chief), G. Japaridze (Deputy editor), O. Keshelashvili (Responsidle editor), E.Shapakidze, A.Giorgadze.

1. მეცნიერება
Sciences

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 60 წლისთავს თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება

გურამ ალექსიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;
გივი ჯაფარიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;
ომარ ქეშელაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საკვანძო სიტყვები: მეცნიერება, აკადემია, მიზანი, ამოცანები, მეცნიერული მიღწევები.

რეფერატი:

განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განვლილი გზა, მიზანი, ამოცანები, ამჟამინდელი საქმიანობა, ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა: ნაჩვენებია მიღწე-ული შედეგები; ჩამოთვლილია გამოცემული მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები; ახსნილია საერთა-შორისო კავშირები; გადმოცემულია XXI საუკუნის გამოწვევები.

Significant Scientific Achievements of Georgian Academy of Agricultural Sciences for 60 Years of its Existence

Guram Aleksidze -Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,
Givi Japaridze - Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,
Omar Keshelashvili - Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences.

Key words: Science, Academy, goals, scientific achievements

Abstract

The article tells about the aims, goals and success attained by Georgian Academy of Agricultural Sciences for 60 years of its existence. Current scientific accomplishments which are the results of 60-year fruitful and creative scientific and organizational activities of the Academy are discussed. The article gives a record of the most valuable publications for the last sixty years, highlights international contacts of the Academy, explains the role of the Academy in development of Agriculture in the country, and how it faces the challenges of the 21st century.

პურეული და პარკოსანი კულტურების მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დადგენა მარცვალწარმოქმნის პროცესების გათვალისწინებით

გ. ჯამბურია–სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკვანძო სიტყვები: თესლი, რძისებრი, ცომისებრი, ცვილისებრი და სრული სიმწიფე.

რეფერატი

მრავალწლიური ცდების შედეგების საფუძველზე მოცემულია პურეული და პარკოსანი კულ-ტურების მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დადგენის მეთოდური მიდგომები, მარცვალწამოქმნის პროცესების გათვალისწინებით.

Determination of the optimal harvesting of cereals and legumes cultures considering the grain origin processes

G. Jamburia-Doctor of Agricultural Sciences

Key words: Seed, Phases of repening.

Abstract

related about the determination of the optimal harvesting of grain and careals cultures, considering the seed origin processes.

ტრიტიკალეს ბიოლოგიური და ქიმიური შემადგენლობა

თინათინ ეპიტაშვილი-დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ტრიტიკალე, ბიოლოგია, ქიმიური შედგენილობა.

რეფერატი

სტატიაში განხილულია ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული მარ-ცვლეული კულტურის–ტრიტიკალეს (×Triticosecale Wittm ex A. Camus) ბიოლოგიური და ქიმიური მახასი-ათებლები. ტრიტიკალე სრულიად ახალი ბოტანიკური გვარია, რომლის გენოტიპში კარგად არის შერწყმული ხორბლისა და ჭვავის ძვირფასი ნიშან-თვისებები.

Biological and Chemical features of triticale

T. Epitashvili- Master student

Key words: triticale, biology, chemical composition.

Abstract

Crop receiving by crossing wheat and rye - triticale is a completely new botanical name, whose genotype is well combined with the precious features of wheat and rye. Triticale is distinguished by wide range of genetic capabilities that are successfully used to create new types of wheat varieties and improve the quality of food products.

ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები

როზა ბიძინაშვილი-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.

საკვანძო სიტყვები: ენდემი, იშვიათი, გადაშენებადი, კონსერვაცია, დაცვა.

რეფერატი

დღევანდელობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას საზოგადოება, ეს არის რეალურად არსებულ სახეობათა შენარჩუნება ბუნებაში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მათი ბუნებრივ და ხელოვნურ პირობებში დაცვის ანუ კონსერვაციის გზით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ფლორის ეფემეროიდული გეოფიტები, შემდეგი გვარების-**Arum, Bellevalia, Crocus, Colchicum, Gagea**, **Erythronium, Fritillaria, Galanthus, Iris, Merendera, Muscari, Ornithogalum, Puschkinia, Scilla, Sternbergia, Tulipa** წარმომადგენლები, რომლებიც გამოირჩევიან არაორდინალური მორფოსტრუქტურით, ფორმათა სიმრავლით, მაღალი ენდემიზმის დონით, მრავალმხრივი ეკონომიკური (სამკურნალო, ეთერზეთოვანი, არომატული, კვებითი, სამღებრო, დეკორატიული და სხვ.) მნიშვნელობით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ჯგუფის მცენარეები ხშირ შემთხვევაში ადამიანის მოქმედების აქტიურ ბიოკლიმატურ ზონებშია თავმოყრილი, განიცდიან მძლავრ ანთროპოგენურ სტრესს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მათი ბუნებრივი მარაგი, ცალკეულ ტაქსონთა რაოდენობა, ხოლო ზო-გიერთი სახეობა იშვიათ და გადაშენებად მცენარეთა კატეგორიებში აღმოჩნდა. რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ მცენარეებით.

საქართველოს რეგიონებში ჩვენს მიერ ჩატარებული მიზნობრივი გასვლების შედეგად შეგროვდა ერთლებნიანი გეოფიტების 60-მდე სახეობის საწყისი მასალა ბოლქვების, ტუბერების, ფესურების სახით, რის საფუძველზეც საქართველოს (თბილისი) ეროვნული ბოტანიკურ ბაღის სამკურნალო მცენარეების საცდელ ნაკვეთზე შეიქმნა მათი კოლექცია.

წლების განმავლობაში ჩატარებული ბიოეკოლოგიური დაკვირვებების შედეგად შესწა-ვლილია მათი მორფობიოლოგიური თავისებურებები, ზრდა-განვითარების დინამიკა, გამრავლების ხერხები. ყურადღება გამახვილებულია დაცვის ღონისძიებებზე.

Biomorphological Features of ephemeroid geophytes

Rosa Bidzinashvili- Academic Doctor of Biology,

Key words: endemic, rare, disappearing, conservation, protection.

Abstract

Maintenance of the really existing species in nature is one of the main problems of the contemporary world and realization of the problem can be achieved through conservation i.e. by means of protecting them in natural and artificial conditions.

From this point of view, some representatives of genera of ephemeroid geophytes of Georgian flora attract special attention. They are: *Arum, Bellevalia, Crocus, Colchicum, Gagea, Erythronium, Fritillaria, Galanthus, Iris, Merendera, Muscari, Ornithogalum, Puschkinia, Scilla, Sternbergia, Tulipa.* They are distinguished by their extraordinary morphological structure, variety of forms, high level of endemism, many-sided economic (medicinal, essential oil, aromatic, nutrient, dyeing, ornamental, etc.) importance.

It should also be noted that the plants in this group are often concentrated in the active bioclimatic zones of human activity. They are under strong anthropogenic influence that cause considerable reduction of their natural reserves, the number of some taxons and some species even fell into the category of rare and endangered plants. All the above mentioned provoked our interest towards these plants.

As a result of our targeted field expeditions in the regions of Georgia some primary material of 60 species of monocotyledonous geophyte plants (bulbs, tubercles, roots runners) were collected and that provided creation of a collection of these plants on the experimental plot of the medicinal plants of the National Botanical Garden of Georgia (Tbilisi). As a result of the bio ecological observations carried out during the past years their morphobiological peculiarities, their growth and development dynamics, methods of their propagation have been studied. The most perspective species have been selected for their further introduction in the semi-arid climatic conditions of East Georgia. The article emphasizes the necessity for protection of rare and critically endangered species.

ურთხელის (Taxus baccata L.) პოპულაციები თბილისის შემოგარენში

რ. ბიძინაშვილი-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ნ. ცხადაძე

საკვანძო სიტყვები: არეალი, იშვიათი, რელიქტი, პოპულაციები, დეკორატიული, სამკურნალო.

რეფერატი

სტატია ეძღვნება საქართველოს წითელი წიგნის ობიექტს, მესამეული პერიოდის ერთ-ერთ იშვიათ რელიქტურ მცენარეს – ურთხელს. თბილისის შემოგარენში წლების განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებული მიზნობრივი საველე გასვლების შედეგად დადგენილია მისი ძირითადი ადგილსამყოფლები, გავრცელების კანონზომიერებები, არსებული პოპულაციების მდგომარეობა, რაოდენობრივი მხარე. მოყვანილია მონაცემები მოკლე ბიოეკოლოგიურ მახასიათებლებზე, ბიოქიმიურ შემადგენლობაზე, მნიშვნელობაზე, დაცვის ღონისძიებებზე.

Populations of yew trees Taxus baccata L. in Tbilisi environs

R. Bidzinashvili-Academic Doctor of Biology,
N. Tskhadadze

Key words: the area, rare, relio, populatie, decorative, drug.

Abstract

The article deals with yew trees (Taxus baccata L.) - a unit of the Red Book, one of the representatives of the Arcto-Tertiary flora, the Mediterranean, Western Eurasian species. The plant is spread in almost all forest areas of Georgia where they occur as small groups or as an individual sample. The exception is the Batsara gorge (Kakheti), at the upper tributaries of the Alazani River where the largest natural population of the plant covers up to 800 hectares. Planted forests of yew tree are maintained on the Mount Mtirala and Namtsvavi valley in Adjara. As a result of the monitoring carried out in Tbilisi environs in 2010-2015 the main locations of the plant are estimated: Saguramo ridge – in Zedazeni, Betania, Martazi and Armazi valleys, Dighmistskali valley - Didgori, Bevreti, in the adjoining upper forests of Norio and Martkopi where the plant is represented as individuals. According to the quantity and cenotic composition yew trees spread on Saguramo ridge (Zedazeni) and Norio (adjoining area of St. Anthony Monastery) are very significant. While studying the plant, its bio ecological peculiarities, ways of propagation and pests and disease were estimated.

Proceeding from the rarity and multipurpose usefulness of the plant, establishment of a constant monitoring over the yew tree groves is supposed to be very necessary, any kind of felling should be prohibited and all the yew trees in Georgia should be preserved. The most important direction is to carry out cultivation work more widely, on a large scale that is considered to be a guarantee for protecting this really unique plant.

საქართველო ხორბლის სამშობლოა

ცოტნე სამადაშვილი - პროფესორი
გულნარი ჩხუტიაშვილი -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, ენდემური სახეობა, სელექცია, გენეტიკა.

რეფერატი

ხორბალი, საქართველოს კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. აქ არსებულმა პირველადმა სახეობებმა ახსნა ხორბლის გვარის ფილოგენეზი და დაამტკიცა, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით საქართველო უნიკალურია მთელ მსოფლიოში.

საქართველოში სხვადასხვა დროს აღრიცხული და რეგისტრირებულია ხორბლის 14 ბუნებრივი სახეობა - მონოკოკუმი, დიკოკუმი, ტიმოფეევი, გეორგიკუმი, ქართლიკუმი, დურუმი, ტურგიდუმი, პოლონიკუმი, ტურანიკუმი, ესტიუმი, სპელტა, კომპაქტუმი, მახა, ჟუკოვსკი. მათ შორის 5 ენდემური სახეობაა–მახა, ჟუკოვსკი, ტიმოფეევი, გეორგიკუმი, ქართლიკუმი. საქართველოში აღწერილი და რეგისტრირებულია 144 სახესხვაობა და ჯიშ-პოპულაცია. გარდა ამისა, საქართველოს ხორბლის ბაზაზე მიღებულია 4 ახალი სახეობა – მილიტინაე, კიხარა, ტიმონოუმი, ფუნგიციდუმი.

დღემდე ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ *Triticum* -ის გვარის ევოლუციაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ენდემურმა სახეობებმა. ამ მხრივ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ენდემური ჰექსაპლოიდური სახეობის–მახას ყოველმხრივ შესწავლას, მისი ისტორიის დადგენას. ენდემურ სახეობათა შესწავლით შესაძლებელი გახდა ეკონომიკურად მეტად მნიშვნელოვანი სახეობის-რბილი ხორ-ბლის წარმოშობის აღდგენა-გარკვევა, რაც გარკვეული დონით ადამიანთა კულტურის ისტორიაცაა და ევოლუციის ეს პროცესი მიმდინარეობდა საქართველოში.

საქართველოს ხორბლების მნიშვნელობა მარტო მისი ისტორიული როლით როდი განისაზღვრება, მათ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქის ახალი ტიპის ხორბლის შექმნის საქმეში. საქართველოს მრავალი ენდემური სახეობა და ფორმა გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ ფენომენალური კომპლექსური იმუნიტეტით, მავნებლებისადმი გამძლეობით და მაღალი ბიოქიმიური მაჩვენებლებით. ამ ნიშნების გამო ისინი საუკეთესო გენეტიკურ წყაროს წარმოადგენენ ინტენსიური ტიპის ჯიშების მისაღებად და ჰიბრიდული ხორბლის პრობლემის გადასაწყვეტად.

Georgia – Homeland of Wheat

Tsotne Samadashvili-Professor,
Gulnari Chkhutiashvili-Academic Doctor of Agriculture.

Key words: wheat, endemic species, breeding, genetics;

Abstract

Wheat is one of the most ancient plants of cultural flora of Georgia. According to the existing materials, thanks to the early species of wheat, found on the territory of Georgia, it became possible to determine phylogeny of wheat varieties and make a statement that our country is distinguished in the world with a variety of wheat species.

In Georgia at different times were enlisted and registered 14 natural local species –Monococcum, Dicoccum, Timopheevii,Georgicum,Cartlicum, Durum, Turgidum, Polonicum, Turanicum, Estium, Spelta, Compactum, Macha, Zhukovskyi . From them 5 species are endemic Makha, Zhukovskyi, Timopheevii, Georgicum, Cartlicum. In Georgia are described and registered 144 species and variety - populations. Besides, based on the Georgian wheat are received 4 new varieties-Militinaye, Kikhara, Timonoum, Fungicidum.

By the experimental studies conducted till today, it is established that in the evolution of Triticum the endemic species of Georgia have played a big role. From this point of view huge theoretical and practical value had comprehensive study of the endemic hexaploid specie Macha, and establishment of its origin. Studying of endemic species, recovery/establishment of an origin of the economically very important specie - soft wheat became possible, that, to some extent is connected with history and cultural evolution of the Georgian people.

The value of Georgian wheats is determined not only by their historical role. They have a huge importance in creation of wheat of new type of a modern era. Many Georgian endemic species and forms are allocated with phenomenal complex immunity against fungal diseases, resistance to diseases and high biochemical rates. They are an excellent genetic source for evolving of varieties of intensive type and the resolution of problem of hybrid wheat

საგაზაფხულო სამუშაოები საშემოდგომო ხორბლის ნათესში

ცოტნე სამადაშვილი - პროფესორი,
გულნარი ჩხუტიაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ნუგზარი ბენდიანიშვილი-აგრონომი.

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, გამოყიერება, აგროტექნიკური და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები.

რეფერატი.

ხორბლის მარცვლის წარმოებაში საშემოდგომო ხორბლის ხვედრითი წილი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი საგაზაფხულო ფორმებისა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მისი მოსავლიანობა უფრო მყარი და საიმედოა. საშემოდგომო ხორბალი უკეთესად იყენებს ნიადაგის ტენს, ინვითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას და აქვს ბარტყობის მეტი უნარი, ვიდრე საგაზაფხულო ხორბალს. საქართველოში თავთავიანი კულტურების საერთო ნათესებში 70% უკავია საშე-მოდგომო ფორმებს. ხორბლის გავრცელების ძირი–თადი ზონებია: კახეთი, ქართლი, მესხეთ–ჯავახეთი. კლიმატური ცვლილებების გამო ხშირად საშე–მოდგომო ხორბლის შემოდგომის ნათესი ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებით. ამიტომ, აუცილებელი ხდება საგაზაფხულო სამუშაოების დროული და ხარისხიანი ჩატარება.

საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მოხდეს არსებული ნათესის შებასება აღმოცენებასა და გადარჩენაზე. ნათესის მდგომარეობის შემდეგ ჩატარდეს: განოყიერება და ფარცხვა. განოყიერებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგია, რომელიც დამუშავებულია კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მიერ. შესაძლებლობის შემთხვევაში აუცილებელია ნათესი მოირწყოს. მნიშვნელოვანია სარეველების, დაავდებების და მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების დროული ჩატარება.

Spring Works in Crops of Winter Wheat

Tsotne Samadashvili-Professor,
Gulnari Chkhutiashvili-Academic Doctor of Agriculture,
Nugzari Bendianishvili –Agronomist.

Key words: wheat, fertilizer, watering, fight against weeds, fight against diseases and wreckers;

Abstract

In production of wheat grain, the specific weight of winter wheat is much higher in comparison with its spring forms, because productivity of winter varieties is more reliable and steady. Winter wheat uses moisture better, develops more powerful root system and as a result, in comparison with spring forms of wheat, possesses a high capability of tillering. In total area of crops of grains in Georgia 70% is occupied by crops of winter wheat. The main zones of distribution of winter wheat are: Kakheti, Kartli, Meskheti - Dzhavakheti. Because of climatic changes often autumn crops of winter wheat are characterized by poor development and growth. Therefore it is necessary to carry out spring works well and timely.

Before the beginning of spring worksб it is necessary to carry out the evaluation of the condition and number of shoots on the existing crops. After the evaluation, it is necessary introducing of fertilizers and harrowing. For fertilizingб it is necessary to apply a new technology, which is developed by the staff of the research center. If possible, it is necessary to carry out watering of crops. Carrying actions against weeds, diseases and wreckers timely is very important.

სელექცია და გენეტიკა
Breeding and Genetics

მინდვრის ცდის სქემები მცენარეთა სელექციაში და გენეტიკური რესურსების კოლექციების შეფასებისას

მირიან ჩოხელი,
თამარ ჯინჯიხაძე

საკვანძო სიტყვები: ცდა, სქემა, გენოტიპი, ჯიშთაგამოცდა.

რეფერატი

სტატიაში გადმოცემულია მინდვრის ცდის სქემები რომლებიც ეფექტიანად შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც სელექციურ პროგრამებში და გენეტიკური რესურსების შეფასება-დახასიათებისას ასევე აგროტექნიკური საკითების შესწავლისას. ისინი წარმატებით გამოიყენება მრავალ ქვეყანაში და სოფლის მეურნეობის საერთა-შორისო ორგანიზაციების კვლევებში. ეს სქემებია: დასრულებული და დაუსრულებელი ბლოკების სქემები (RCBDs, IBD) როგორებიცაა ალფა-ლეტის (alpha lattice design), დანაყოფების სპლიტ-სქემა (Split plot design), და გაფართოებული სქემები (Augmented design). მოცემულია მათი გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვა ფა-ქტორის გათვალისწინებით და მათი შედარებითი ეფექტიანობა, გაანალიზებულია ცალკეული დანაყოფების განლა-გების სხვადასხვა ვარიანტის ეფექტიანობა სქემებში. მოკლედ გადმოცემულია ის ძირითადი კომპიუტერული პრო-გრამები, რომლებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული მინდვრის ცდის სქემების შესადგენად, მათი რენდომიზაციისა და მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისათვის. მინდვრის ასეთი სქემების გამოყენება გაზრდის ცდის სიზუსტეს და შესაბამისად საცდელი საქმის წარმატებას.

Field trial designs in plant breeding and genetic resources evaluation

Mirian Chokheli,
Tamar Jinjikhadze

Key words: trial, scheme, genotype, testing of varieties.

Abstract

Field trial design is a important consideration at all stages of a plant breeding programs and genetic resources evaluation trials for screening hundreds, possibly thousands of entries. This article gives some information on evaluation trial designs such as randomized complot and incomplete block (alpha lattice, Split plot, Augmented design) designs that are widely used all over the world by the international agricultural research organizations but not in our country. Application of these designs will ensure high precision and low experimental error in field trials to ensure the best possible genetic material is identified. The article also reviews some computer specialist software for randomizing designs and the analysis of experimental data.

სუბტროპიკული და სხვა კულტურების სელექციის სამედიცინო ასპექტი

ზურაბ ბუკია-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
ნუნუ გოგია- მეცნიერ თანამშრომელი
ციცინო ათამაშვილი- მეცნიერ თანამშრომელი
ნოდარ ბერიძე -მეცნიერ თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: სელექცია, სასარგებლო ნაერთები, სამედიცინო სარგებელი.

რეფერატი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია ბიოცენოზის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის-მცენარის სელექციის ზოგად საკითხებთან.

მცენარე დახასიათებულია, როგორც დიდი მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის ძირითადი ფიგურაა. მოტანილია მონაცემები, რომლებიც ადასტურებს ზოგი-ერთი მცენარის დიდ როლს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა პროფილაქტიკის საქმეში.

ნაშრომის ძირითადი ამოცანაა სასურსათო წყაროს გარდა , წარმოაჩინოს მცენარე, როგორც ერთ-ერთი მძლავრი გარანტი მრავალი დაავადების პრევენციისა და წარმატებული მკურნალობისა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მცენარეთა სელექციის კლასიკური მეთოდების გამოყენებით.

Subtropical and other medical aspects of cultures selection

Z.Bukia–Academic doctor of Agriculture,
N.Gogia,
Ts. Atamashvili,
N Beridze

Key words: Selection,Useful Compounds,Medical benefits.

Abstract

The work presents the issues that are related to one of the main components of Biocenosis - general issues of plants' selections. The plant is characterized as the live organism of great importance that is the main figure of agriculture. The data brought prove its great role in human health care and diseases preventing.

Except the food source the main task of work is to show off the plant as one of the strong guarantee of preventing the numerous diseases and successful treatment.

Solving the problem is possible through applying the classic method of selection.

მცენარეთა ჯიშთშერჩევა და ადამიანის ჯანმრთელობა

ზურაბ ბუკია-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ნუნუ გოგია- მეცნიერ თანამშრომელი,
ციცინო ათამაშვილი- მეცნიერ თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: სასარგებლო ნაერთები,მედიცინა,სელექცია.

რეფერატი

მრავალი მცენარეული ნაერთი შეუცვლელ როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ბიოა–ქტიური ნაერთების სინთეზის უნარი მცენარეს შეუცვლელ როლს აკუთვნებს.

კვების ზოგიერთ პროდუქტში შემავალი პოლიფენოლები-ეგზოგენური ტიპის ანტიოქსიდანტები, დიდ როლს ასრულებენ თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციაში.

ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა მრავალი სუბტროპიკული კულტურა. ამ კულტურათა მეთოდური სელექციის წყალობით შესაძლებელია მათში მედიცინისათვის, და ზოგადად ჯანმრთელობისათვის, სასა-რგებლო ნაერთთა შემცველობის რეგულირება.

მონაცემები, რომელიც მოტანილია ნაშრომში, წარმოადგენს მრავალ სუბტროპიკულ კულტურაზე (ნე–დლეულსა და მზა პროდუქციაზე) ჩატარებული კვლევის შედეგებს. დადგენილია საკვლევ მცენარეებში ბიოაქტიური ნაერთების შემცველობის რეგულირების გზები. მცენარე წარმოჩენილია, როგორც ერთ-ერთი მძლავრი გარანტი მრავალი დაავადების პრევენციისა და წარმატებული მკურნალობისა-ეს მაშინ, როცა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული პრეპატრატებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი უარყოფითი გვერდითი მოვლენები.

ბუნებრივია, მეთოდური სელექციის წარმოებისას, მაქსიმალური შედეგის მიღწევა შესაძელებელია სელექციის კლასიკური მეთოდების ცოდნითა და მათი წარმოების დონით.

სასურველი შედეგების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული სელექციონერის კვალიფიკაციის დონეზე.

Plants selection and human health

Z.bukia– Academic doctor of Agriculture,
N. Gogia,
Ts. Atamasvili

Key words:: Useful Compounds, medicine, selection.

Abstract

Many plant mixtures play unchangeable role in human health. Bioactive mixtures synthesis ability gives an unchangeable role to plants.

Polyphenols included in some food products and xenogenic kinds of antioxidants play an important role to neutralize free radicals.

From this point of you is very interesting a lot of subtropical cultures. By the help of this cultures methodological selection it's possible to regulate in them consistence of useful mixtures for medicine and for health. The facts given in this work represent the results of research on subtropical cultures (raw and ready materials)The ways are found to regulate bioactive mixtures consistence of researching plants . The plant is introduced as one of the strongest guaranty of preventing a lot of diseases and successful treatment as it's less characterized for medicines produced by raw materials to have side affect.

It's natural that during methodological selection it's possible to achieve results with the knowledge of classical methods and producing level.

To achieve the desirable result is depended on selectionist's qualification level.

ციტრუსოვანთა ნუცელარული სელექციის პრიორიტეტული მნიშვნელობა

ზურაბ ბუკია- სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ნუცელარული სელექცია, ნათესარი, მუტანტური ხაზი, ჰიბრიდიზაცია

რეფერატი

ნაშრომში მოყვანილია ფაქტები,რომლებიც მიუთითებს ციტრუსოვანთა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზებზე. ციტრუსოვანთა სელექციის კლასიკურ მეთოდებს შორის, ნუცელარული სელე–

ქცია განხილულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მეთოდი ახალი პერსპექტიული ჯიშების მისაღებად. პრაქტიკა და გამოცდილება გვიჩვენებს ამ მეთოდის შეუცვლელ როლს, რადგან ციტრუსოვანთა ნუცელარული თაობა წარმოდგენილია ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით, რომლებიც განსხვავდებიან დედა მცენარისაგან და ატარებს ძვირფას სამეურნეო ნიშნებს. ნაშრომში მოყვანილია კვლევის საკუთარი შედეგებიც.

The Priority value of nucellar selection of citrus

Z.Bukia– Academic doctor of Agriculture

Key words:: Nucellar selection , seedling, Mutant line,hybridization.

Abstract

There some facts brought in the work that point out to improve the breeding line of citruses on the roads. Among the classic methods of citruses the nucellar selection is reviewed as one of the reliable method – for getting new, perspective breed.

Practice and experience show us the irreplaceable role of this method, as the citruses nucellar generation is presented with a vast diversity of shape that are distinguished from mother plant and have got the valuable agricultural features.

The work includes the own outcomes of the study.

ფოთლის პიგმენტაციის ცვალებადობა იაპონურ კამელიაში

დ. ქამადაძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.
დ. ბარათაშვილი-ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: კამელია, ფოთოლი, პიგმენტაცია, მემკვიდრეობა

რეფერატი

ნაშრომში აღწერილია ქროლოფილური ქიმერები იაპონურ კამელიის ორ ჯიშში Pelaqia-სა და Eleqans-ში. პირველი ჯიშის შემთხვევაში V_1 თაობაში მემკვიდრეობს პლასტიდურ ცვლილებათა 14,2±2,6%, ხოლო V_2 თაობაში - 10,4±2,4%, მეორე ჯიშის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია და შეადგენს შესაბამისად 24,6±3,2% და 19,1±3,1%-ს;

The variability of leaf pigmentation of Camellia japonica

D. Kamadadze– Academic doctor of Biological
D. Baratashvili– Doctor of Biological Sciences, Professor

Key words: Camellia, Leaf, Pigmentation, Heritage

Abstract

Chlorophyll chimeras in Camellia Japonica are rather rare and they are clearly expressed in only two specieis of Pelaqia and Eleqans. In the case of the first species, V_1 generation inherits 14,2±2,6% of Plastid changes, and 10,4±2,4% in V_2 generation, in the case of the second species these index is higher and totals to 24,6±3,2% and 19,1±3,1%, respectively.

დათიშვის გენეტიკური თავისებურებანი იაპონურ კამელიაში

დ. ქამადაძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,
დ. ბარათაშვილი-ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდიზაცია, კომბინაცია, ყუნწის სიგრძე, ფოთოლი.

რეფერატი

ნაშრომში აღწერილია რეციპროკული შეჯვარება იაპონური კამელიის ჯიშებს შორის ექვს კომბინაციაში ორი მარკირებული ნიშნის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰიბრიდიზაციაში ჩართული იქნა ხუთი ჯიში, მათ შორის ოთხ კომბინაციაში (1-4) დათიშვის გენეტიკური ანალიზი ჩატარდა ფოთლის სიდიდის მიხედვით, ხოლო ორ კომბინაციაში (5-6) -ყუნწის სიგრძის მიხედვით.

Genetic peculiarities of segregation of Camellia Japonica

D. Kamadadze– Academic doctor of Biological,
D. Baratashvili– Doctor of Biological Sciences, Professor

Key words: Hybridization, Combination, The length of a petiole, Leaf.

Abstract

Considering this, we carried out reciprocal hybridization among the species of Camellia Japonica in six combinations according to two marked signs. Taking this into account, five groups were engaged in hybridization. Genetic segregation analysis according to the size of a leaf was conducted in four combinations (1-4) and according to the petiole length (5-6)-in 2 combinations. From 515 to 645 flowers were pollinated in each combination.

სიმინდის ახალი ჰიბრიდი „თოლია“

ლ. ქირიკაშვილი -ს/მ აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდი, ჯიში, ხაზი, მოსავალი.

რეფერატი

აგრარული უნივერსიტეტის ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტში გამოყვანილია მაღალპროდუქტიული, მექანიზებული წარმოებისათვის ვარგისი, თეთრმარცვლიანი, სასურსათო მიმართულების ჰიბრიდი „თოლია“, რომელიც 2014 წლის დეკემბერში, შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზების მიერ, გადაეცა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ერვნულ ცენტრს „საქპატენტი“. ჰიბრიდი დარეგისტრირებულია 2017 წელს.

ქართული, ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული, ჰიბრიდების დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში, მათი მაღალხარისხიანი თესლით თესვა და სიმინდის მოვლა–მოყვანის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიის გამოყენება ქვეყანაში მოსავლიანობის ამაღლების ძირითადი რეზერვია.

New Maize Hibrid “Tolia“

L. Kirikashvili – Academic doctor of Agrikulture

Key words: hybrid, variety, line, yield.

Abstract

In Lomouri Farning Institute of Georgias State Agrarian University was bred highly productive new maize hybrid „ Tolia“. The hybrid is suitable for the mechanized harvesting. Grain is white and can be used for food. In 2014 the hybrid was refered by LTD Testing of Georgian Agrikultural University to National Intelleqtual Property Senter Of Georgia. It was registered in 2017.

Hybris which are edapted to local climate and soil conditions are very important for Georgia. Caltivating of new higly productive hybrids by using of their high class seeds and new technologies is a magor source to increase maize production In our country.

მეხილეობა
Fruit-growing

მსხლის ჯიშის-კარმენი შესწავლის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში

ზ. ბობოქაშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ე. მაღლაკელიძე-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ვ. კაკაშვილი-მაგისტრი,
ლ. ციგრიაშვილი-ბაკალავრი

საკვანძო სიტყვები: ჯიში, ყვავილობა, ზრდა, მოსავალი, ნაყოფი.

რეფერატი

სტატიაში წარმოდგენილია, მსხლის ახალი, ევროპული ჯიშის, კარმენი, სამეცნიერო კვლევა, რომლის საფუძველზეც სამომავლოდ მოხდება ამ ინტროდუცირებული ჯიშის პოპულარიზაცია და დანერგვა საქართველოს მეხილეობის სხვადასხვა რეგიონში.

კვლევა ჩატარდა, შიდა ქართლში (სოფ. ჯიღაურა, მცხეთის მუნციპალიტეტი-საგურამო), სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, საკოლექციო ბაზაზე, მებაღეობა-მევენახეობის კვლევის სამსახურის მიერ, 2014-2016 წლებში. კვლევა ითვალისწინებდა ჯიშის პომოლოგიურ აღწერას ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის კალენდარული ვადების განსაზღვრას; ბიოლოგიურ-სამეურნეო მახასიათებლების (მოსავალი, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობა ნაყოფის მექანიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები) შესწავლას.

Study results of Pear variety, Carmen, in Sida Kartli Region of Georgia

Zviad Bobokasvili- Academic doctor of Agriculture,
Elene Maghlakelidze- Academic doctor of Agriculture,
Vano Kakashvili-Master,
Lasha Cigriasvili-Bachelor

Key words: variety, flowering, growth, harvest, fruit.

Abstract

The research aims at study of Pear cultivar, Carmen, and selection of further propagation in Shida kartli itself and also in various fruit growing regions of Georgia. The following agronomic and biological characteristics were studied according to the cultivar: calendar periods of phenological phases; pomological description of fruits, their chemical analysis and productivity.

The research has been carried out in collection orchard located in one of the leading regions of fruit-growing of Georgia - Shida (Inner) Kartli (vil. Jighaura, Saguramo Mtskheta municipality) and belonging to LEPL Scientific-Research Center of Agriculture (SRCA) in 2014-2016.

გოჯი კენკრის პირველადი შესწავლის შედეგები შიდა ქართლის პირობებში

ზ. ბობოქაშვილი- სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ე. მაღლაკელიძე-სოფლის მეურნეობის აკადემიურიდოქტორი,
ვ. კაკაშვილი- მაგისტრი,
ლ. ციგრიაშვილი-ბაკალავრი

საკვანძო სიტყვები: ჯიში, ყვავილობა, ზრდა, მოსავალი, ნაყოფი.

რეფერატი

სტატიაში წარმოდგენილია, ახალი კენკროვანი კულტურის-გოჯის (Lycium barbarum L.), ინტრო-დუცირებული ჯიშის - ნინგსია N1, სამეცნიერო კვლევა, რომლის საფუძველზეც სამომავლოდ მოხდება ამ ახალი კულტურის პოპულარიზაცია და დანერგვა საქართველოს მეხილეობის სხვადასხვა რეგიონებში.

კვლევა ჩატარდა, შიდა ქართლში (სოფ. ჯიღაურა, მცხეთის მუნიციპალიტეტი-საგურამო), სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, მრავალწლოვანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალის წარმოების დეპარტამენტის მიერ, 2014-2016 წლებში. შესწავლილი იქნა მცენარის შემდეგი ბიოლოგიური მახასიათებლები: ბუჩქის სიმაღლე, ნაზარდების სიგრძე. განისაზღვრა ყვავილობის და სიმწიფის ვადები; 1 ბუჩქის საშუალო მოსავლიანობა (კგ-ში); ჩატარდა ნაყოფის პომოლოგიური აღწერა.

The first results of study Goji Berry (*Lycium barbarum* L.) in East region of Georgia

Zviad Bobokasvili - Academic doctor of Agriculture,
Ellen Maglakelidze - Academic doctor of Agriculture,
Vano Kakashvili – Master,
Lasha Cigriasvili – Bachelor.

Key words: cultivar, flowering, maturing, fruit, quality.

Abstract

This paper aims to provide scientific support for the cultivation of introduced varieties of Goji Berry (Lycium barbarum L.) - Ning- sia #1, for the first time in Georgia. Goji is a new crop in Georgia markets, so cultivar selection is still limited. This work considers the adaptability potential of the Goji Berry plants to the environmental and climatic conditions of the East region of Georgia.

The biological and agricultural peculiarities of new Goji varieties - Ningsia #1 were studied in collection orchard located in one of the leading regions of fruit-growing of Georgia - Shida Kartli (vil. Jighaura, Saguramo Mtskheta municipality) and belonging to LEPL Scientific-Research Center of Agriculture (SRCA) during a three year period (2014 – 2016).

There are investigated important features of cultivars - development of phenological phases, plant growth, maturity and harvest period, yield and fruit quality.

The first results of testing goji berry cultivars allow the conclusion: The goji berry cultivars Ningsia #1 can be successfully grown under conditions of Georgia region Shida Kartli and to give recommendation on their planting in the similar soil and climatic conditions of Georgia. However, in order to make a final conclusion about these cultivars, the study has to be continued.

მევენახეობა
Viticulture

ქართლის ვაზის ჯიშების ფენოლოგიური და ენო-კარპოლოგიური შესწავლა

ლევან უჯმაჯურიძე–სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ლონდა მამასახლისაშვილი–სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ფენოლოგია, ანტოციანები, პოლიფენოლები.

რეფერატი:

სტატიაში წარმოდგენილია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ჯიღაურას საერთაშორისო კატეგორიის GEO038 კოლექციაში დაცული ქართული ვაზის გენოფონდში (450 ნიმუში) შემავალი ქართლის ადგილობრივი წარმოშობის ვაზის (5 თეთრყურძნიანი და 3 წითელყურძნიანი) ჯიშებისათვის 2016 წლის სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში კომპლექსური მიდგომის საფუძველზე შესწავლილი ფენოლოგიური, ქიმიური და ენო-კარპოლგიური მახასიათებლები. ანალიზისათვის გამოყენებული იქნა ,,COST action FA1003",პროექტის ფარგლებში შემუშავებული ფენოტიპირების მეთოდი. ადაპტური ჯიშებისათვის ჩატარდა კვლევები საერთო ანტოციანებისა და საერთო პოლიფენოლების შემცველობაზე. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა სხვაობა, როგორც საერთო პოლიფენოლების შემცველობის, ასევე ენოკარპოლოგიურ მახასიათებლებს შორისაც. წითელყურძნიანი ჯიშებიდან ანტოციანების ყველაზე მაღალი შემცველობა დაფიქსირდა ჯიშ ჭროღა ქართლის კანის ესტრაქტში 522(მგ/კგ ყურძენი). წითელყურძნიანი ჯიშებიდან კანის ექსტრაქტში მაღალი საერთო პოლიფენოლები ჰქონდა ჯიშ დანახარულს – 1664 (მგ/კგ ყურძენი), თეთრყურძნიანი ჯიშებიდან შაბას– \1200(მგ/კგ ყურძენი). წითელყურძნიანი ჯიშებიდან მაღალი საერთო პოლიფენოლების შემცველობა იყო ჯიშის ჭროღა ქართლის - 6133.6 (მგ/კგ ყურძენი) და თეთრყურძნიანი ჯიშებიდან - შაბას 783.4 (მგ/კგ ყურძენი) წიპწის ექსტრაქტში.

BBCH შკალის (lorez at al.1994) გამოყენებით 7 დღიანი ინტერვალით აღირიცხა ქართლის ვაზის ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სავეგეტაციო პერიოდის მქონე ჯიშები 147-დან 166 დღემდე ინტერვალში. საკვლევ ჯიშებს შორის შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდი ჰქონდა ჯიშ თითა ქართლურს (147 დღე), ხოლო უფრო ხანგრძლივი პერიოდი (166 დღე) ქიშურს.

Phenological and Enocarpological study of local grapevine varieties from Kartli province of Georgia

L. Ujmajuridze – Doctor of Agricultural Sciences, Professor,
L. Mamasakhlisashvili – Academic doctor of Agriculture.

Key words: phenology, anthocianyns, polyphenols.

Abstract:

Phenological, chemical and enocarpological characteristics of the domestic varieties of Kartlian grapevine (5 white and 3 red varieties) preserved in the international category GEO038 gene fond of grapevine (450 samples) of the LEPL agricultural research center of Jigaura has been studies during 2016 vegetation year, based on the complex approach. The phenotyping method elaborated in the frame of "COST action FA1003" project was used for analysis. Content of total anthocyanins and polyphenols were investigated in adapted varieties. Differences in phenols content and enocarpological characteristics were revealed. The highest content of anthocyanins among white sorts of grapevine was revealed in berry-skin extract of the variety "Chroga" (522mg/kg of berries). Among the red varieties high polyphenol content was revealed in variety "Danakharuli" (1664.2,g/kg of berries). Among white varieties by this index was distinguished "Shaba (1200mg/kg of berries). By the content of polyphenols in the seed extracts among the studied sorts of grapevine the red variety "Kartlis chroga" was distinguished (content of total polyphenols 613.6mg/kg of berries), while among white varieties the sort "Shaba" seed extract did (783.4mg/kg of berries).

The phenological phases of Kartlian grapevine sorts using the BBCH scale (Lorez et al. 1994) were registered with 7days interval. By the durability of the vegetation period the tested sorts were placed in 147-166 days interval (Tita Qartluri-Kishuri).

მებოსტნეობა
Vegetables

ბოსტნეულის ახალი ინტროდუქცირებული ჯიშების დახასიათება

ნატო კაკაბაძე–სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
პაშა ვაჩეიშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ელენე მოთიაშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
რავზა მავლიანოვა- სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

საკვანძო სიტყვები: ჯიში, სელექცია, ინტროდუქცია, რეგისტრაცია, გენოფონდი.

რეფერატი

ბოსტნეული კულტურების მრავალფეროვნება წარმოდგენილია ადგილობრივი და ინტროდუქცი–რებული ჯიშებით/ჰიბრიდებით/ჯიშ-პოპულაციებით, რომელიც იქმნებოდა და იქმნება სელექციური მუ–შაობით. სელექციის შედეგი არის ჯიში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას წარმოაჩენს.მცენარის ჯიში არის გენეტიკური თავისებურებით განპირობებული ორგანიზმი, რომელიც ამა თუ იმ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ავლენს მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რაც ვლინდება მიღებული პროდუქტის რაოდენობასა და ხარისხში.

2005 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს ბოსტნეული კულტურების სხვადასხა ჯიშის ინტროდუქცია მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან(მდებარეობს ტაივანში) და მათზე სელექციური მუშაობა. შექმნილია ბოსტნეულ მცენარეთა მდიდარი გენოფონდი. მეცნიერ თანამშრომლების ავტორობით ინტრო–დუქცირებული საწყისი მასალიდან გამოყვანილია პამიდორის, წიწაკის, საბოსტნე ბარდას, მაშა ლობიოს, ჩვეულებრივი ლობიოს, ბროკოლის ახალი ჯიშები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების ერო–ვნული ცენტრის,,საქპატენტი''-ს მიერ რეგისტრირებულია საქართველოში გასავრცელებლად დასაშვებად.

Description of new introductory vegetable strains.

Nato Kakabadze – Academic doctor of Agriculture,
Pasha Vacheishvili – Academic doctor of Agriculture,
Elene Motiashvili-- Academic doctor of Agriculture,
Ravza Mavlianova – Academic doctor of Agriculture.

Key words: strain, selection, introduction, registration, gene pool.

Abstract:

Diversity of vegetable culture comes from local and introductory strains/hybrids/breeding that has been created by selection process. The result of a selection is a strain, which demonstrates economic strength of the country. Plant strain is an organism with genetic attributes, which displays typical characteristic features while in specific pedogenic and climatic conditions. This is manifested in the quantity and quality of the product.

